

„დამტკიცებულია“

საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება № 02-01/06 28.05.2019

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,

რექტორი, სხალთის მთავარეპისკოპოსი

სპირიდონი

„განხილულია“

აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის საბჭოს მიერ.

ოქმი № 02-04-06/04 27.05.2019

საქართველოს საპატრიარქოს

წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

აგრარული მეცნიერებანი

(მოდული: აგროტექნოლოგია, მცენარეთა დაცვა, სატყეო საქმე)

პროგრამის მოცულობა 240 ECTS კრედიტი

კვალიფიკაცია/ აკადემიური ხარისხი:

- აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი აგროტექნოლოგიაში
- აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი მცენარეთა დაცვაში
- აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი სატყეო საქმეში

Bachelor of Agrarian Sciences in Agro Technology

Bachelor of Agrarian Sciences in Plant Protection

Bachelor of Agrarian Sciences in Forestry

პროგრამის ხელმძღვანელები:

რეზო ვასაძე - ს/მ აკად. დოქტორი, პროფესორი  
გურამი ჩხუბაძე - ბიოლოგიის აკად. დოქტორი  
ნანა ჯაბნიძე - ს/მ აკად. დოქტორი, პროფ.

ხიჭაური 2019

პროგრამის დასახელება	აგრარული მეცნიერებანი
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/ კვალიფიკაცია	აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი - აგროტექნოლოგიაში აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი - მცენარეთა დაცვაში აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი სატყეო საქმეში Bachelor of Agrarian Sciences in Agro Technology Bachelor of Agrarian Sciences in Plant Protection Bachelor of Agrarian Sciences in Forestry
ფაკულტეტის დასახელება	აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების
პროგრამის ხელმძღვანელი /ხელმძღვანელები/ კოორდინატორი	რეზო ვასაძე - ს/მ აკად. დოქტორი, პროფესორი გურამი ჩხუბაძე - ბიოლოგიის აკად. დოქტორი ნანა ჯაბინიძე ს/მ აკად. დოქტორი, პროფესორი
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი) – 240 ECTS კრედიტი (6000 საათი), რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად: 1. საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები - 35 კრედიტი 2. სპეციალობის ძირითადი ( <i>major</i> ) სასწავლო კურსები : 85 კრედიტი, მათ შორის: 50 კრედიტი - სპეციალობის მოდულები (არჩევით); ა) მოდული 1 -აგროტექნოლოგია; ბ) მოდული 2- მცენარეთა დაცვა; გ) მოდული 3- სატყეო საქმე 10 კრედიტი – არჩევითი კურსები; 2. დამატებითი სპეციალობის ( <i>Minor</i> ) სასწავლო კურსები : 60 კრედიტი. კერძოდ, პროგრამის ფარგლებში ბაკალავრიატის სხვა სპეციალობის სტუდენტებს საშუალება ეძლევათ აირჩიონ დამატებითი სპეციალობის სასწავლო კურსები: ისტორია, ქართული ფილოლოგია.
სწავლების ენა	ქართული
<b>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)</b>	
<p>საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელიც გადის წინასწარ რეგისტრაციას ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრში და აბარებს ერთიან ეროვნულ გამოცდებს. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის სავალდებულოა სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებით განსაზღვრული ექვივალენტური დოკუმენტის არსებობა.</p> <p>აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დოკუმენტი, რომელიც ანიჭებს აბიტურიენტს სტუდენტის სტატუსს საქართველოს მოქალაქეებისათვის. უცხო ქვეყნის მოქალაქეების პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება კანონმდებლობის შესაბამისად.</p> <p>ასევე პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მოიცავს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებულ შედეგებს, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგნები პრიორიტეტებისა და მათი შესაბამისი კოეფიციენტების გათვალისწინებით. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ კანონით“ - მუხლი 52. პუნქტი 3. კერძოდ:</p>	

აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით დადადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არ მქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩასარიცხად დასაშვებია სწავლების ერთი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

**პროგრამის მიზნები**

**პროგრამის მიზანია** - საქართველოს ეროვნული ინტერესების, ქვეყნის აგრარული პოლიტიკის, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის გათვალისწინებით „აგრარული მეცნიერებების“ საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს აგრონომიულ მეცნიერებათა ბაკალავრი, რომელსაც ექნება ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით მიღებული საფუძველიანი ცოდნა. იგი დაეუფლება: სასოფლო-სამეურნეო კულტურების ბიოლოგიურ თავისებურებებსა და მოვლა-მოყვანის მართვას; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მეთოდებს; მიწის რაციონალური გამოყენების წესებს; მიწათმოქმედებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენების შესაძლებლობებს; ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესების აგრომელიორაციულ ხერხებს; აგრობიოლოგიურ მეურნეობათა შექმნის თავისებურებებს; ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისას, მისი დაცვისა და კვლავწარმოების ძირითად პრინციპებს. ტყის კულტურების წარმოების თავისებურებებს; მერქნის ფიზიკურ-მექანიკური თვისებებისა და მერქანში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების კანონზომიერებებს, კორომების აღნაგობის, ტყის ჭრების, ტყის აღდგენის თანამედროვე წესებს; ტყის ტიპებს, ტყის სიმწიფის ფორმებს, ტყეთმონაწყოებითი სამუშაოების ჩატარების წესებს; პროგრამა ითვალისწინებს უცხო ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გაძლიერებული კურსით შესწავლას, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება სპეციალისტს სწავლის დამთავრების შემდეგ კომუნიკაციასა და შრომით მოწყობაში.

**სწავლის შედეგები (დარგობრივი კომპეტენციები)**

**ცოდნა და გაცნობიერება**

**აქვს ფართო ცოდნა:**

-აგროტექნოლოგიის, ამცენარეთა დაცვის და სატყეო საქმის საფუძველებში, აცნობიერებს დარგის მნიშვნელობას სოფლის მეურნეობის და გარემოს მდგრადი განვითარების საქმეში.

**იცის:**

მცენარის მნიშვნელობა, ადგილი და როლი, სტრუქტურა, ბიოლოგია, სისტემატიკა, ცოცხალი ორგანიზმების მრავალფეროვნებისა და მათი ბუნების - ადამიანისათვის სასარგებლო მიმართულებით გამოყენების შესახებ. მცენარეში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების კანონზომიერებები გარემო პირობებთან ურთიერთკავშირში; მცენარის მემკვიდრეობითობისა და ცვალებადობის პროცესები, ახალი და გაუმჯობესებული ჯიშების შერჩევის და გამოყვანის მეთოდები;

ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, შენარჩუნების და კვლავწარმოების საკითხები;

ნიადაგის ფიზიკურ - ქიმიურ თვისებები, ნიადაგწარმოქმნელი პროცესები, ნიადაგის დამუშავების ტექნიკური საშუალებების გამოყენება, სასუქების სახეები და განოყიერების სისტემები, მათი შენახვა-გამოყენების, ნიადაგის ნაყოფიერების

ამაღლები წესები; ეროზიის ძირითადი სახეები და მათგან დაცვის ღონისძიებები.

მეტეოროლოგიური მოვლენების აღრიცხვისა და კლიმატური პირობების ფორმირების კანონზომიერებები. მელიორაციის ხერხები და მეთოდები ბუნებრივი პირობების გაუმჯობესებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი ინტენსიფიკაციის საქმეში;

სასოფლო სამეურნეო წარმოებაში გამოყენებული ტექნიკური საშუალებების, ნიადაგის დამუშავებისადმი წაყენებული აგროტექნიკური მოთხოვნების, ნიადაგის ძირითადი და ზედაპირული დამუშავების, სათესი, სარგავი, მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებებისაგან დაცვის, სატყეო მეურნეობაში გამოყენებული ტექნიკური საშუალებების საკითხები.

სასოფლო სამეურნეო და ტყის მცენარეთა მავნებელ - დაავადებები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესახებ საკითხები.

შრომის დაცვის თეორიული, სამართლებრივი და ორგანიზაციული საკითხები, სოფლის მეურნეობაში შრომის უსაფრთხო პირობების შექმნის, ხანძარუსაფრთხოების, საწარმოო სანიტარიის და დაზარალებულთათვის პირველადი დახმარების წესები.

**აგროტექნოლოგიის** მოდულის კურსდამთავრებულმა იცის ჩაის, სუბტროპიკული, ტექნიკური, ვაზის, ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების მნიშვნელობა, მათი ბიოლოგიური თავისებურებები, მოვლა-მოშენების ხერხები და მეთოდები; ფლობს მეცხოველეობა - მეფუტკრეობის, მევენახეობა - მეღვინეობის, სამკურნალო მემცენარეობის, სასოფლო - სამეურნეო პროდუქტთა შენახვა გადამუშავების ტექნოლოგიების საკითხებს. ბოსტნეული კულტურების მორფო -ბიოლოგიურ თავისებურებებს, მათ კლასიფიკაციას, ადგილობრივი და პერსპექტიული ჯიშების გამრავლება, მოვლა-მოყვანის წესებს, სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე მოქმედ გარემო ფაქტორებს. დახურული გრუნტის სახეებს, მათ მოწყობას, ბოსტნეული კულტურების ჩითილების გამოყვანის, ხეხილოვანი კულტურების მოვლისა და მოსავლის მიღების თანამედროვე ტექნოლოგიებს. ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას, ნიადაგის ბიოლოგიურ აქტივობას. ჯანსაღი საკვები პროდუქტების წარმოებას, მდიდარი გარემოს შექმნასა და შენარჩუნებას.

**მცენარეთა დაცვის** მოდულის კურსდამთავრებულმა იცის სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ტყის მცენარეთა მავნე ორგანიზმების (ვირუსები, ბაქტერიები, სოკოები, მწერები, ტკიპები, ნემატოდები, სარეველები და სხვა) მორფოლოგია, სისტემატიკა და ბიოეკოლოგია; მცენარის დაზიანების და დაავადებების სიმპტომები, სასოფლო - სამეურნეო ნათესარებსა და ნარგავებში გავრცელებული სარეველა მცენარეების ბიოეკოლოგია, მცენარეთა მავნე ორგანიზმების იდენტიფიკაციის ტრადიციულ და თანამედროვე მეთოდები, მავნე ორგანიზმების გამოჩენის, განვითარებისა და გავრცელების ვადები, მათი რიცხოვნების პროგნოზირების მეთოდები, ენტომოფაგების, აკარიფაგებისა და ჰერბოფაგების გამრავლების, შენახვის და გამოყენების მეთოდები; აგრონომიული ტოქსიკოლოგიის საფუძვლები, პესტიციდების კლასიფიკაცია, მავნებლების, დაავადებების და სარეველებისაგან მცენარეთა დაცვის მეთოდები.

**სატყეო საქმის** მოდულის კურსდამთავრებულმა იცის ტყეების ფუნქციონალური დანიშნულების ადგილობრივი და ინტროდუცირებული მერქნიანი სახეობების სისტემატიკური ანალიზი და ზოგადი კანონზომიერებები; ძირითადი ტყის სახეობათა ნერგის აღზრდის, ტყის კულტურების წარმოების

	<p>თავისებურებანი; მერქნის ფიზიკურ-მექანიკური თვისებები და მერქანში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების კანონზომიერებები, სატყეო საქონელმცოდნეობის და მერქანმცოდნეობის საკითხები, კორომების აღნაგობის, ტყის ჭრების, ტყის აღდგენის თანამედროვე წესები; ტყის ტიპები, ტყის სიმწიფის ფორმები ტყეთმოწყობითი სამუშაოების ჩატარების წესები; ხე-ტყის დამზადების და ტრანსპორტირების საკითხები.</p> <p><b>აგნობიერებს:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სასოფლო - სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლების, მცენარეთა დაცვის მნიშვნელობას ქვეყნის აგრარული პოლიტიკის განხორციელების და ეკოლოგიურად უსაფრთხო სასურსათო პროდუქციით უზრუნველყოფის საქმეში. ტყის რესურსების გონივრული მართვის მნიშვნელობას გარემოს მდგრადი განვითარების საქმეში.</li> </ul>
<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<p><b>დარგობრივი კომპეტენციები</b></p> <p><b>შეუძლია:</b></p> <p>კულტურულ მცენარეთა მოვლა-მოყვანის პროგრესიული ტექნოლოგიების გამოყენება უხვი და ხარისხიანი მოსავლის მისაღებად. შესაფერისი აგროტექნიკური ღონისძიებების დასახვა და ჩატარება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სარგავი მასალის გამოყვანა – გამრავლება ტრადიციული და პროგრესული მეთოდებით, ორგანული და მინერალური სასუქების შერჩევა ნიადაგის არის რეაქციის (PH) შესაბამისად. ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენის წესების და მეთოდების გამოყენება, სასოფლო - სამეურნეო კულტურებისათვის სასუქების შერჩევა ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით;</p> <p>მოცემული აგროკლიმატური ზონის მეტეოროლოგიურ კლიმატური პირობების განსაზღვრა და გათვალისწინება სასოფლო სამეურნეო კულტურების განვითარებისა და მოსავლის პროგნოზირების მეთოდების დამუშავების დროს, გარემოზე ამა თუ იმ ფაქტორის მოქმედების განსაზღვრა და უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების გზებისა და ხერხების დაგეგმვა წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;</p> <p><b>აგროტექნოლოგიის</b> მოდულის კურსდამთავრებულს შეუძლია სუბტროპიკული და ტექნიკურ მცენარეთა ვეგეტატიური და გენერაციული გამრავლება, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად საბაღე ნაკვეთის დაგეგმვა, სარგავი მასალის მომზადება დასარგავად, ნერგების მოვლა და სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ჩატარება. ღია გრუნტში და მინი სათბურში ჩითილის აღზრდა, დარგვა და მოვლითი ღონისძიებების ჩატარება; საველე პირობებში ვენახის გაშენება და მოვლა, ხეხილის მცნობის, ნერგების გამოყვანის, დარგვის და მოვლითი ღონისძიებების ჩატარება. პოლიეთილენის პარკებში ჩაის მცენარეთა დაკალმების მეთოდით მაღალხარისხოვანი სტანდარტული სარგავი მასალის გამოყვანა ნიადაგის დამუშავება-განოყიერება და ნერგის დასარგავად მომზადება. ცხოველთა მოვლა-მოშენების თანამედროვე ტექნოლოგიებს. ჯანსაღი საკვები პროდუქტების შექმნა, წარმოება და შენარჩუნება.</p> <p><b>მცენარეთა დაცვის</b> მოდულის კურსდამთავრებულს შეუძლია ნათესარებისა და ნარგავების მავნე ორგანიზმთა გამოცნობა, მათი გავრცელება - განვითარების პროგნოზი და მთლიანად ფიტოსანიტარული მდგომარეობის შეფასება მცენარეთა</p>

	<p>დაცვითი ღონისძიებების დროულად გატარების საქმეში, აგროცენოზებში მავნე ორგანიზმთა ბუნებრივი მტრების (სასარგებლო მწერები, ტკიპები და მიკროორგანიზმები) როლის განსაზღვრა მავნე ორგანიზმებთან ბრძოლის ეკოლოგიურად უსაფრთხო მეთოდების შესამუშავებლად, ადამიანისათვის ნაკლებად საშიში მცენარეთა ქიმიური დაცვის საშუალებების სწორად შერჩევა და მათი რაციონალური გამოყენება სასოფლო - სამეურნეო კულტურების ინტეგრირებული დაცვის სისტემაში,</p> <p><b>სატყეო საქმის</b> მოდულის კურსდამთავრებულს შეუძლია მოცემული აგროკლიმატური ზონის ეკოლოგიური პირობების განსაზღვრა და გათვალისწინება ტყის კულტურების განაშენიანებისას ზონალობის მიხედვით; საქართველოს ტყეებში მთავარი სარგებლობის, მოვლითი ჭრის და სპეციალური ჭრების, ტყის რესურსების რაციონალურად გამოყენების, ტყის დაცვის და ტყის ხელოვნური და ბუნებრივი განახლების სატყეო სამეურნეო ღონისძიებების პრაქტიკულად განხორციელება. ტყის სორტიმეტაცია, ხის ხნოვანების განსაზღვრა, ხის ნამატის განსაზღვრა მოჭრილ და ზრდად ხეზე. განსაზღვროს მერქნის აგებულების ნიშნებით მისი ღირებულებები, ფიზიკური და მექანიკური თვისებები. ხე-ტყის გამოზიდვა სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებებით, სახალხო მოხმარების საქონლისა და საწარმოო დანიშნულების ნაკეთობათა დამზადება, მერქნისა და ნარჩენების ქიმიური გადამამუშავება. შეუძლია ქიმიის, მათემატიკის და საინფორმაციო ტექნოლოგიების დისციპლინათა თეორიული ცოდნის გამოყენება აგრარული დარგის სფეროში;</p>
დასკვნის უნარი	<p>შეუძლია აგრარულ სფეროში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოვლა-მოყვანის, დაცვის, გადამამუშავების და წარმოების ღონის შეფასება, ანალიზი, ინფორმაციების მოპოვება და თანამედროვე, აპრობირებული მეთოდების საფუძველზე დასაბუთებელი დასკვნების გამოტანა.</p>
კომუნიკაციის უნარი	<p>აქვს:  აგრარულ საკითხებში არსებულ პრობლემებზე რეაგირების, ჩამოყალიბების, კამათის საფუძველზე სხვებისთვის დასაბუთების, დასახული იდეების წერილობითი, სქემატური, ელექტრონული და გრაფიკული ვერსიების მომზადების, სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირი ან წერილობითი სახით გადაცემის უნარი.</p>
სწავლის უნარი	<p>შეუძლია:  -იმუშაოს თავისი კვალიფიკაციის, პროფესიონალიზმის ამალღებისა და თვითგანვითარებისათვის;  -საჭირო თემატიკის მიხედვით თანამედროვე ინფორმაციის, სამამულო და საზღვარგარეთული გამოცდილებების მოპოვება და სწავლა;  -აგრარულ სფეროში სამეცნიერო კვლევების თანამედროვე მეთოდების შესწავლა.</p>
ღირებულებები	<ul style="list-style-type: none"> <li>- აცნობიერებს აგრარული სფეროს განვითარების მნიშვნელობას, როგორც სახალხო მეურნეობის პრიორიტეტული მიმართულება;</li> <li>- აცნობიერებს მემცენარეობის, მეცხოველეობის და სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავების, როგორც დარგის მნიშვნელობას ქვეყნის აგრარული პოლიტიკის განხორციელების საქმეში.</li> </ul>

## სწავლების მეთოდები

პროგრამის მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით სწავლება ხორციელდება შემდეგი მეთოდების გამოყენებით

- 1. დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
- 2. ჯგუფური მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
- 3. წერიტი მუშაობის მეთოდი**- გულისხმობს სალექციო ჩანაწერების და ამონაწერების გაკეთებას, მასალის დაკონსპექტებას, დამოუკიდებლად რეფერატის შესრულებას და სხვ.
- 4. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება** - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.
- 5. შემთხვევის ანალიზი** - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს.
- 6. დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გაგებადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს, როგორცაა, მაგალითად, კონკრეტული მეტეოროლოგიური მოვლენების შესასწავლად საჭირო ხელსაწყოების მუშაობის პრინციპის გაცნობა, ბუნებაში ექსპერიმენტების ჩატარება (ქარის სიჩქარის, ჰაერის ტენიანობის და ა.შ. განსაზღვრა. მავნებელ დაავადებათა ბუნებაში შეგროვება და ლაბორატორიაში ხელსაწყოების დახმარებით მათი შესწავლა, ნიადაგების ნიმუშის აღება, სხვადასხვა კულტურული მცენარეების ნერგების გამოყვანა პოლიეთილენის პარკებში, სანერგეში ნერგების მცნობის ტექნიკის დაუფლება, ტყის მერქნიანი მცენარეების დიამეტრის გაზომვა ორთითას საშუალებით სათბურში ერთწლიანი კულტურების თესვა, მოვლა მოყვანაზე სისტემატიური დაკვირვება; კომპოსტის დამზადება, წყალში ნიტრიტების განსაზღვრა და ა.შ.
- 7. ანალიზის და სინთეზის მეთოდი:** ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება;  
სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას;
- 8. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება** - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.
- 9. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი** – ახალი მასალის გადაცემა ზეპირსიტყვიერად, თხრობითი სახით, რომლის დროსაც კომპლექსურად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი თემატიკის შინაარსიდან გამომდინარე;
- 10. წიგნზე მუშაობის მეთოდი** - მეთოდი ძირითადად სწავლის პროცესში გამოიყენება. სტუდენტები სურვილის მიხედვით ამუშავებენ რეფერატურულ ნამუშევრებს ან პოპულარულ სამეცნიერო სტატიებს სამეცნიერო კონფერენციებისათვის;

**11. ევრისტიკული მეთოდი** - ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება. ეს მეთოდი გამოიყენება ცოცხალ სამყაროში მიმდინარე პროცესების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების საფუძვლიანი აღქმისა და მისი კანონზომიერებების შესწავლისათვის.

**12. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – ამ მეთოდის გამოყენებით ხდება პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობა სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

### **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები**

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2016 წლის 18 აგვისტოს №102/ნ ბრძანებებით განსაზღვრული პუნქტების გათვალისწინებით.

სტუდენტის შესაფასებელ ერთეულად გამოყენებულია კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემის კრედიტი, რომელიც ასახავს სტუდენტის მიერ საგნის ასათვისებლად შესრულებული სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში. 1 ESTS კრედიტი მოიცავს 25 საათს.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტის მიერ კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება საკრედიტო სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

სტუდენტის მიერ გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:

ა) შუალედურ შეფასებებს, მაქსიმუმ – 60 ქულის ოდენობით, რაც თავის მხრივ მოიცავს სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას, ყოველდღიურ აქტიურობას და მიმდინარე რეიტინგულ შეფასებას. შუალედური შეფასება მრავალკომპონენტიანია და განსაზღვრულია სასწავლო კურსების სილაბუსებით;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური წილი შეადგენს 40 ქულას. შეფასების მეთოდებიდან ძირითადად გამოიყენებული იქნება: შუალედური და შემაჯამებელი ტესტები (როგორც დახურული, ასევე ღია კითხვებით), ზეპირი პრეზენტაციები, შემაჯამებელი გამოცდა, აქტივობა ლაბორატორიულ თუ პრაქტიკულ მეცადინეობებზე და ჯგუფში მუშაობისას.

შეფასების კონკრეტული კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით.

სტუდენტი ვალდებულია დაესწროს სალექციო საათების მინიმუმ ორ მესამედს და მიმდინარე შეფასებებში დააგროვოს არანაკლებ 21 ქულა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება.

დასკვნით გამოცდაზე 20 ქულაზე ნაკლების მიღების შემთხვევაში სტუდენტი ითვლება ჩაჭრილად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასებების ჯამი შეადგენს 40 ქულაზე მეტს. ამ შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება, რომელზეც 50%-ზე ნაკლები ქულის მიღების შემთხვევაში ითვლება ჩაჭრილად და გაუფორმდება შეფასება “F”.

შეფასების ESTS საკრედიტო სისტემით დაშვებულია 5 სახის დადებითი და 2 სახის უარყოფითი შეფასება.

A ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91 %-ზე მეტი;

B ძალიან კარგი \_ მაქსიმალური შეფასების 81 -90 %;

C კარგი \_ მაქსიმალური შეფასების 71-80 %;

D დამაკმაყოფილებელი \_ მაქსიმალური შეფასების 61-70 %;

E საკმარისი \_ მაქსიმალური შეფასების 51-60 %;

FX \_ მაქსიმალური შეფასების 41-50 % \_ რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი დრო სჭირდება, და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით გამოცდაზე განმეორებით გასვლის უფლება);

F მაქსიმალური შეფასების 0-40% , რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ხელახლა აქვს შესასწავლი, რისთვისაც იგი თავიდან არეგისტრირებს მოდულებს/კურსებს.



სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების კონკრეტული კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100 ქულით. (სილაბუსი თან ერთვის).

**შენიშვნა:** შუალედური და დასკვნითი (დამატებითი) გამოცდები ჩატარდება ფორმალიზებული წესით. ცალკეულ კურსებში შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია შესაბამისი კურსის სილაბუსით.

**დასაქმების სფეროები**

შეუძლია იმუშაოს: საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ სხვადასხვა სახის ფერმერულ და კოოპერატიულ მეურნეობებში, სასწავლო და სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებში, კოლეჯებსა და სკოლებში, ექსპერტიზისა და სოფლის მეურნეობის მომსახურეობის საკონსულტაციო ცენტრებში; სოფლის მეურნეობის სამთავრობო, არასამთავრობო სამსახურებში და სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში შესაბამისი და მომიჯნავე მიმართულებით.

**სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები**

**საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერა:**

**განხორციელებისათვის საჭირო რესურსები**

**ა) მატერიალური რესურსი**

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სპეციალიზაციაში: აგროტექნოლოგია, მცენარეთა დაცვა, სატყეო საქმე, მოიცავს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)პ აგროსერვისცენტრის ჩაქვისა და გვარას საკოლეჯიო - სადემონსტრაციო ნაკვეთებს, ჩაის სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის კვლევით ბაზებს (საუ-ს), ბათუმის ბოტანიკური ბაღს, ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების კვლევითი ინსტიტუტებს, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონის აგროსაწარმოებს, შპს ქობულეთის ჩაის გადამამუშავებელი საწარმოს, ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ციტრუსებისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების საკოლეჯიო ნაკვეთებს (მწვანე კონცხი), სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს, ტყის მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის შუახევის ლაბორატორიას. (შესაბამისი მემორანდუმები თან ერთვის).

გარდა აღნიშნულისა, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი აღჭურვილია საკმარისი რაოდენობის სასწავლო კაბინეტებით, ბიბლიოთეკით, საკონფერენციო და სხდომათა დარბაზებით, თანამედროვე კომპიუტერებით, საინფორმაციო საშუალებებზე ხელმისაწვდომობით, რაც განაპირობებს დოქტორანტთა სასწავლო და სამეცნიერო პროცესების სათანადო დონეზე წარმართვას.

**ბ) ადამიანური რესურსი:**

აგრონომიის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრებით, სასწავლო დისციპლინებს უძღვებიან შესაბამისი პროფილის აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალი, რომელთაც აქვთ პროფესიული საქმიანობის გამოცდილება და პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად ეწევიან სამეცნიერო-კვლევით, პრაქტიკულ და მეთოდურ მუშაობას.

№	ადამიანური რესურსი	აკადემიური ხარისხი	დაკავებული თანამდებობა
1.	რეზო ჯაბნიძე	საქ. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.	მოწვეული მასწავლებელი
2.	ვანო პაპუნძე	საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ/კორესპონდენტი.	მოწვეული მასწავლებელი
3.	რეზო ვასაძე	სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი	პროფესორი
4.	ციური გოგიტიძე	სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი	პროფესორი
5.	ნანა ჯაბნიძე	სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი	პროფესორი
6.	რუსლანი დავითაძე	აგრარულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი	ასოც. პროფესორი
7.	მირანდა გორგილაძე	აგრარულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი	პროფესორი
8.	თამილა არდემანაშვილი	აგრარულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი	პროფესორი
9.	ლამზირა გორგილაძე	სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი	მოწვეული მასწავლებელი
10.	გურამი ჩხუბაძე	ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი	მოწვეული მასწავლებელი

11.	რომან მარგალიტაძე	ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი	მოწვეული მასწავლებელი
12.	სულიკო ბერიძე	ვეტერინარიის აკადემიური დოქტორი	მოწვეული მასწავლებელი
13.	ფადიკო აბუსელიძე	ტექნიკის აკადემიური დოქტორი	პროფესორი
14.	ნუნუ ნაკაშიძე	სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი	მოწვეული მასწავლებელი
15.	ლელია ებრაღიძე	სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი	მოწვეული მასწავლებელი
16.	ნარგიზ ალასანია	ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი	მოწვეული მასწავლებელი
17.	შოთა ლომინაძე	სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი	მოწვეული მასწავლებელი
18.	შოთა ლამპარაძე	სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი	მოწვეული მასწავლებელი
19.	რუსუდან დუმბაძე	აგრარულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი	მოწვეული მასწავლებელი
20.	ლიანა ქოიავა	ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის აკადემიური დოქტორი, მოწვეული მასწავლებელი	მოწვეული მასწავლებელი
21.	ლილი დოლიძე	ინგლისური ენის მასწავლებელი	მოწვეული მასწავლებელი

შედეგების რუკა

N	კომპონენტები	კრედიტების რაოდენობა	კომპეტენციები						
			დარგობრივი კომპეტენციები						
			ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასვენის უნარი	კომუნიკაციის უნარი უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები	
	<b>ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები</b>								
1	საქართველოს ისტორია	3	X	X	X				
2	აკადემიური წერა	3	X	X	X	X	X		
3	ფილოსოფია	2	X	X	X				
4	ფსიქოლოგია	2	X	X	X				
5	საოფისე კომპიუტერული პროგრამები	5	X	X			X		
6	უცხო ენა	5	X	X	X	X	X	X	
7	მათემატიკა	5	X	X	X				
8	ბოტანიკა	5	X	X		X			

9	სას. სამ. მიკრობიოლოგია	5	X	X	X			
10	აგროქიმი	6	X	X	X		X	
11	მცენარეთა ფიზიოლოგია, ბიოქიმი	5	X	X	X			
12	ქიმიის შესავალი	4	X	X	X			
13	წიადაგმცოდნეობა	5	X	X	X	X		
14	სასოფლო სამეურნეო მცენარეთა გენეტიკა, სელექცია	5	X	X	X	X		
15	აგრომეტეოროლოგია	5	X	X	X			
16	სას. სამ. ენტომოლოგია	5	X	X	X	X		
17	სას. სამ. ფიტოპათოლოგია	5	X	X	X	X		
18	მიწათმოქმედება	5	X	X	X	X		
19	სას. სამ. მექანიზაცია-ელექტროფიკაცია	5	X	X				
20	მეცხოველეობა	4	X					
21	გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსები	4	X	X	X			
22	სასოფლო სამეურნეო მელიორაცია	4	X	X				
23	დენდროლოგია	4	X	X	X			
24	აგროეკოლოგია	5	X	X	X	X		
<b>მოდული 1. „აგროტექნოლოგია (მოცულობა არაუმეტეს 60 კრედიტი) ხელმძღვანელი</b>								
1.1	მეზოსტენობა, სასათბურე მეურნეობა	5	X	X	X			

1.2.	სუბტროპიკული კულტურები	5	X	X	X			
1.3.	მემცენარეობა-საკვებწარმოება	5	X	X	X			
1.4.	მეთესლეობა-ჯიშთმცოდნეობა	5	X	X				
1.5.	ორგანული სოფლის მეურნეობა	5	X	X	X			
1.6.	მეხილეობა	5	X	X	X	X		
1.7.	მეჩაიეობა	5	X	X	X	X	X	
1.8.	პროფესიული პრაქტიკა	5	X	X	X	X	X	X
	საბაკალავრო ნაშრომი	10	X	X	X	X	X	X
	<b>მოდულის არჩევითი კურსები</b>	10						
	მევენახეობა და მეღვინეობა	5	X	X	X			
	ტექნიკური კულტურები	5	X	X	X			
	მეფუტკრეობა	5	X	X	X			
	აგროეკოლოგია	5	X	X	X	X		
	სასოფლო სამეურნეო კულტურების მოვლა მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგიები	5	X	X	X	X		
	სამკურნალო მემცენარეობა	5	X	X	X	X		
	კვების პროდუქტების უსაფრთხოება	5	X	X	X	X	X	X
	აგროეკოლოგიური მონიტორინგი, ექსპერტიზა	5	X	X				

	სასოფლო სამეურნეო პროდუქტთა გადამუშავების ტექნოლოგია							
	დეკორატიული მეზღობა	5	X	X				
	<b>მოდული 2. „მცენარეთა დაცვა“ (მოცულობა არაუმეტეს 60 კრედიტი)</b>							
2.1.	სატყეო ენტომოლოგია	5	X	X	X			
2.2.	სატყეო ფიტოპათოლოგია	5	X	X	X			
2.3.	ჰერბოლოგია	5	X	X	X			
2.4.	მცენარეთა იმუნიტეტი, მავნეველ დაავადებათა პროგნოზი	5	X	X	X	X		
2.5.	მცენარეთა კარანტინი	5	X	X	X	X	X	X
2.6.	მცენარეთა ბიოლოგიური დაცვა	5	X	X	X	X		
2.7.	მცენარეთა ქიმიური დაცვა	5	X	X	X	X		
2.8.	პროფესიული პრაქტიკა	5	X	X	X	X	X	X
	<b>საბაკალავრო ნაშრომი</b>	10	X	X	X	X	X	X
	<b>მოდულის არჩევითი კურსები</b>	10						
	სუბტროპიკული კულტურების ეკოლოგია	5	X	X	X	X		
	პესტიციდური აქტივობის მცენარეები	5	X	X	X	X		
	ზოგადი ენტომოლოგია	5	X	X	X	X		
	ზოგადი ფიტოპათოლოგია	5	X			X		

	მწერების ეკოლოგია	5	X	X		X		
	ტყის ბიოლოგიური და ქიმიური დაცვა	5	X	X	X	X		
	ქიმია სოფლის მეურნეობაში და გარემოს დაცვა	5	X	X		X		
	ორგანული სოფლის მეურნეობა	5	X	X	X			
	პესტიციდური აქტივობის მცენარეები	5	X	X	X	X		
	<b>მოდული 3. „სატყეო საქმე“ (მოცულობა არაუმეტეს 60 კრედიტი)</b>							
3.1.	სატყეო ენტომოლოგია	5	X	X	X			
3.2.	ზოგადი მეტყევეობა	5	X	X	X			
3.3.	ტყის კულტურები	5	X	X	X			
3.4.	სატყეო ფიტოპათოლოგია	3	X	X	X	X		
3.5.	სატყეო ვარიაციული სტატისტიკა	5	X	X	X			
3.6.	ტაქსაცია 1	5	X	X	X			
3.7.	ტყეთმორწყობა	4	X	X	X			
3.8.	მერქანმცოდნეობა	4	X	X				
3.9.	ტაქსაცია 2	4	X	X	X			
3.10.	პროფესიული პრაქტიკა	5	X	X	X	X	X	X
	<b>მოდულის არჩევითი კურსები</b>							

	სატყეო წიაღამცოდნეობა - აგროქიმია	5	X	X	X	X		
	ბიოგეოგრაფია		X	X	X			
	ხე-ტყის დამზადება და ტრანსპორტირება	5	X	X	X	X		
	საქართველოს ტყეები	5	X	X				
	სატყეო ეკონომიკა და კანონმდებლობა	5	X	X				
	ტყის ბიოლოგიური და ქიმიური დაცვა	5	X	X	X	X		
	დაცული ტერიტორიები და ნაკრძალები	5	X	X				
	ტყის არაპირდაპირი სარგებლობა	5	X	X	X			



N	კომპონენტები	კრედიტების რაოდენობა	მათ შორის									კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით									
			სათეხის რაოდენობა	ლექცია	პრაქტიკული	სემინარი	უნი/ლაბ	ორატორიული	ჯგუფური მუშაობა	პროექტი	შუალედური	დასკვნითი	დამოუკ. სამუშ.	I სემ.	II სემ.	III სემ.	IV სემ.	V სემ.	VI სემ.	VII სემ.	VIII სემ.
														1	14	15	16	17	18	19	20
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	1	14	15	16	17	18	19	20		
	<b>საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები</b>	<b>35</b>																			
1	საქართველოს ისტორია (ზოგადი კურსი)	3	75	15			15		1	2	42	3									
2	აკადემიური წერა	3	75				30		1	2	42	3									
3	ფილოსოფია	2	50	15			15		1	2	17	2									
4	ფსიქოლოგია	2	50	15			15		1	2	17	2									
5	საოფისე კომპიუტერული პროგრამები	5	125		45				1	2	80	5									
6	უცხო ენა (ინგლისური) A1	5	125				45		1	2	80	5									
	უცხო ენა (ინგლისური) A2	5	125				45		1	2	80		5								
	უცხო ენა (ინგლისური) B1	5	125				45		1	2	80			5							
	უცხო ენა (ინგლისური) B2	5	125				45		1	2	80				5						

	სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსები	85																
7	მათემატიკა	5	125	15			27		1	2	80	5						
8	ბოტანიკა	5	125	15			27		1	2	80	5						
9	სასოფლო - სამეურნეო მიკრობიოლოგია	5	125	15	6	21			1	2	80		5					
10	აგროქიმიკა	5	125	15	9	18			1	2	80			5				
11	მცენარეთა ფიზიოლოგია, ბიოქიმიკა	5	125	15	6	21			1	2	80		5					
12	ქიმიის შესავალი	5	125	15		17	10		1	2	80		5					
13	ნიადაგმცოდნეობა	5	125	15	6	21			1	2	80		5					
14	სასოფლო - სამეურნეო მცენარეთა გენეტიკა, სელექცია	5	125	15			27		1	2	80		5					
15	აგრომეტეოროლოგია	5	125	15			27		1	2	80			5				
16	სასოფლო - სამეურნეო ენტომოლოგია	5	125	15	14	13	17		1	2	80			5				
17	სასოფლო- სამეურნეო ფიტოპათოლოგია	5	125	15	27				1	2	80			5				
18	მიწათმოქმედება	5	125	15			27		1	2	80			5				
19	სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, ელექტრიფიკაცია	4	125	15			27		1	2	80					4		
20	მეცხოველეობა	4	100	15			27		1	2	55				4			
21	გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსები	4	100	15			27		1	2	55				4			
22	სასოფლო - სამეურნეო მელიორაცია	4	100	15			27		1	2	55				4			

23	დენდროლოგია	4	100	15			27		1	2	55				4					
24	აგროეკოლოგია	5	125	15			42		1	2	65					5				
<b>თავისუფალი კომპონენტი (მოდული/საგანი)</b>																				
<b>მოდული 1. აგროტექნოლოგია (მოცულობა არაუმეტეს 60 კრედიტი)</b>																				
1.1	მეზოსტნეობა, სასათბურე მეურნეობა	5	125	15	6		21		1	2	80				5					
1.2	სუბტროპიკული კულტურები	5	125	15	11		16		1	2	65				5					
1.3.	მემცენარეობა -საკვებწარმოება	5	125	15	27				1	2	80				5					
1.4.	მეთესლეობა-ჯიშთმცოდნეობა	5	125	15	27				1	2	80				5					
1.5.	ორგანული სოფლის მეურნეობა	5	125	15	4		23		1	2	80							5		
1.6.	მეხილეობა	5	125	15	12		15		1	2	80							5		
1.7.	მეჩაიეობა	5	125	15	12		15		1	2	80							5		
1.8.	პროფესიული პრაქტიკა	5						123		2								5		
	საბაკალავრო ნაშრომი	10	250				90			1	159							10		
	<b>მოდულის არჩევითი კურსები</b>	10	250												5	5				
	მევენახეობა და მეღვინეობა	5	125	15			27		1	2	80									
	ტექნიკური კულტურები	5	125	15			27		1	2	80									
	მეფუტკრეობა	5	125	15	27				1	2	80									
	აგროეკოლოგიური მონიტორინგი, ექსპერტიზა	5	125	15			27		1	2	80									
	სასოფლო სამეურნეო კულტურების მოვლა - მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგიები	5	125	15	12	15			1	2	80									

	სამკურნალო მემცენარეობა	5	125	15			27		1	2	80									
	კვების პროდუქტების უსაფრთხოება	5	125	15			27		1	2	80									
	სასოფლო სამეურნეო პროდუქტთა გადამუშავების ტექნოლოგია	5	125	15			27		1	2	80									
	დეკორატიული მეზღობა	5	125	15	16		11		1	2	80									
<b>მოდული 2. „მცენარეთა დაცვა“ (მოცულობა არაუმეტეს 60 კრედიტი)</b>																				
2.1.	სატყეო ენტომოლოგია	5	125	15			27		1	2	80			5						
2.2.	სატყეო ფიტოპათოლოგია	5	125	15	14	13			1	2	80			5						
2.3.	ჰერბოლოგია	5	125	15	13	14			1	2	80				5					
2.4.	მცენარეთა იმუნიტეტი, მავნებელ - დაავადებათა პროგნოზი	5	125	15			27		1	2	80				5					
2.5.	მცენარეთა კარანტინი	5	125	15			27		1	2	80					5				
2.6.	მცენარეთა ბიოლოგიური დაცვა	5	125	15			27		1	2	80					5				
2.7.	მცენარეთა ქიმიური დაცვა	5	125	15	14	13			1	2	80					5				
2.8.	პროფესიული პრაქტიკა	5	125					123		2							5			
	საბაკალავრო ნაშრომი	10	250				90			1	159						10			
	<b>მოდულის არჩევითი კურსები</b>	<b>10</b>												<b>5</b>	<b>5</b>					
	ზოგადი ფიტოპათოლოგია	5	125	15			27		1	2	80									
	პესტიციდური აქიურობის მცენარეები	5	125	15			27		1	2	80									

	ზოგადი ენტომოლოგია	5	125	15			27		1	2	80						
	მწერების ეკოლოგია	5	125	15			27		1	2	80						
	ორგანული სოფლის მეურნეობა	5	125	15	4		23		1	2	80						
	ტყის ბიოლოგიური და ქიმიური დაცვა	5	125	15			27		1	2	80						
	ქიმიკატების სოფლის მეურნეობაში და გარემოს დაცვა	5	125	15		12	15		1	2	80						
	სუბტროპიკულ მცენარეთა ეკოლოგია	5	125	15	18		9		1	2	80						
<b>მოდული 3. „სატყეო საქმე“ (მოცულობა არაუმეტეს 60 კრედიტი)</b>																	
3.1.	სატყეო ენტომოლოგია	3	75	15	13	14			1	2	30				3		
3.2.	ზოგადი მეტყვეობა	4	100	15			42		1	2	40				4		
3.3.	ტყის კულტურები	3	75	15			27		1	2	30				3		
3.4	სატყეო ფიტოპათოლოგია	3	75	15			27		1	2	30						3
3.5	სატყეო ვარიაციული სტატისტიკა	5	125	15			27		1	2	80				5		
3.6	სატყეო ტაქსაცია 1	5	75	15			27		1	2	30				5		
3.7	ტყეთმომწეობა	4	100	15			27		1	2	55						4
3.8	მერქანმცოდნეობა	4	100	15			27		1	2	55						4
3.9	სატყეო ტაქსაცია 2	4	100	15			42		1	2	40						4
3.10	პროფესიული პრაქტიკა	5	125	15				80		2	43						5
	საბაკალავრო ნაშრომი	10	250			90					160						10
	<b>მოდულის არჩევითი კურსები</b>	10													5	5	
	სატყეო ნიადაგმცოდნეობა-აგროქიმია	5	125	15			27		1	2	80						

	ბიოგეოგრაფია	5	125	15			27		1	2	80								
	ხე-ტყის დამზადება და ტრანსპორტირება	5	125	15			27		1	2	80								
	საქართველოს ტყეები	5	125	15			27		1	2	80								
	სატყეო ეკონომიკა და კანონმდებლობა	5	125	15			27		1	2	80								
	ტყის ბიოლოგიური და ქიმიური დაცვა	5	125	15			27		1	2	80								
	ტყის არაპირდაპირი სარგებლობა	5	125	15	27				1	2	80								
	დაცული ტერიტორიები და ნაკრძალები	5	125	15			27		1	2	80								
<b>სულ</b>	<b>დამატებითი სპეციალობა(Minor) / საუნივერსიტეტო არჩევითი კურსები ნებისმიერი კურიკულუმიდან/ სპეციალობის არჩევითი ბლოკი</b>	<b>60</b>														<b>15</b>	<b>15</b>	<b>15</b>	<b>15</b>